ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070209

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	253 400
დონორების დაფინანსება	
სულ ბიუჯეტი:	253 400

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებისა და მედდების პროფესიული გადამზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მათთვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

წლების განმავლობაში სოფლის მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ჩამოყალიბდა პირველადი ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი მოდელი, რომლის მიზანია სოფლის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურეობის საყოველთაობა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და მაღალი ხარისხი. ბოლო წლებში განხორციელებული არაეფექტური მმართველობის გამო მთლიანად მოიშალა ხარისხზე და შედეგებზე ორიენტირებული პირველადი ჯანდაცვის სისტემა. 2014 წლისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და გაეროს მოსახლეობის განვითარების ფონდთან ერთად განახორციელებს რიგ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალურ გაუმჯობესებაზე. ამ ღონისძიებებში ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებისა და მედდების პროფესიული გადამზადება და პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მათთვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა, ქვეპროგრამის დაფინანსება განხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად, თანადაფინანსების პრინციპით. ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოფლის ექიმები და სოფლის ექთნები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნების გადამზადება	218	116,97	25 500
მთის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	21	7 852,38	164 900
ავტომობილების განბაჟება	21	3 000,00	63 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			253 400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნების გადამზადება	X	X	X	X
მთის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	X	X	X	X
ავტომობილების განბაჟება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გადამზადებული სოფლის ექიმები და ექთნები სოფლის მოსახლეობას ადგილობრივ დონეზე მიაწოდებენ ხარისხიან, საბაზისო სამედიცინო მომსახურეობას; გაიზრდება მთის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული (რაოდენობა)	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის ექიმების და სოფლის ექთნების გადამზადება. სოფლის მოსახლეობისათვის ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი, საბაზისო სამედიცინო მომსახურების მიწოდება;	სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნების ქვეპროგრამაში ჩართულობა.	სოფლის ექიმის რაოდენობა – 107 სოფლის ექთნების რაოდენობა– 111	გადამზადებაში მონაწილე შესაბამისი სასწავლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი ტესტირების შედეგები	წელიწადში ერთხელ (გადამზადების დასრულების შემდეგ)	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის ექიმებისა და ექთნების მიერ ჩატარებული მუშაობის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
მთის რეგიონის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების უზრუნველყოფა ავტომანქანებით	21	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	შესრულებული სამუშაოს ანალიზი წლის ბოლოს